სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სამეურვეო საბჭოს
გადაწყვეტილება # 608
(ოქმი # 529

თბილისი 2025 წლის 12 სექტემბერი

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ დირექტორის თანამდებობაზე გამოცხადებული ღია კონკურსის მე-2 ტურში გასული კანდიდატების ვინაობის და მე-2 ტურის დანიშვნის შესახებ

“მაუწყებლობის შესახებ” საქართველოს კანონის 35^{10} მუხლის 1-ლი პუნქტის, სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ დირექტორის თანამდებობაზე ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ განცხადების (სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სამეურვეო საბჭოს 12.08.2025წ. №604 (ოქმი №527) გადაწყვეტილება) და სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ დირექტორის კანდიდატის გამოვლენასთან დაკავშირებით სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სამეურვეო საბჭოს მიერ კენჭისყრის ჩატარების წესის (დამტკიცებული სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სამეურვეო საბჭოს 12.08. 2025წ. №603 (ოქმი №527) გადაწყვეტილებით) თანახმად,

1. სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს” დირექტორის თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებული ღია კონკურსის 1-ელ ტურში ჩატარებული კენჭისყრის შედეგად, კონკურსის მე-2 ტურში გადასული კანდიდატებია:
1. აკაკი ბერიძე;
2. ნიკოლოზ მეგრელიშვილი;
2. კონკურსის მე-2 ტურის ვადები განისაზღვროს შემდეგნაირად:
ა) კონკურსის მე-2 ტურში გასულ კანდიდატებთან გასაუბრება ჩატარდეს 2025 წლის 17 სექტემბერი 12:00 საათზე;
ბ) სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ დირექტორის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატის გამოსავლენად სამეურვეო საბჭოს სხდომა ჩატარდეს 2025 წლის 17 სექტემბერს 14:00 საათზე.
3. წინამდებარე გადაწყვეტილება განთავსდეს სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ და სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ ვებ-გვერდებზე.

სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე:
ვასილ მაღლაფერიძე

სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე:
გრიგოლ მურღულია

სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სამეურვეო საბჭოს წევრები:

გიორგი კოხრეიძე	ზაზა აბაშიძე
თამილა დოლიძე	ლიკა ბასილაია-შავგულიძე
სოსო სტურუა	ბონდო მძინარაშვილი
გიორგი იაკობიშვილი	იზაბელა ოსიპოვა
	ლაშა ჭოღოში